საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გერონტოლოგთა და გერიატრთა საზოგადოება

გერონტოლოგთა და გერიატრთა საზოგადოება რესპუბლიკური სამეცნიერო, დაარსდა 1959 გ. ფიცხელაურის თაოსნობით ჯერ როგორც თბილ. საზ-ბა. ხოლო 1965, თბილ., სოხუმისა და ბათუმის საქალაქო საზ-ბების შეერთების შედეგად შეიქმნა გ. და გ. ს. (ორივე საზ-ბის თავ-რე 1982-მდე იყო გ. ფიცხელაური, 1982-იდან ნ. *ყიფშიძეა*).

საზ-ბა აერთიანებს (1991) თბილ. (147 წევრი), აფხ. (84 წევრი, თავ-რე შ. გოგოხია), ბათ. (55 წევრი, თავ-რე ს. ძნელაძე) საზ-ბების 286 წევრს.

საზ-ბა მიზნად ისახავს დანერგოს სამედ. საზოგადოებრიობაში გერონტოლოგიასა და გერიატრიაში დაგროვილი ცოდნა, მიიზიდოს სამეცნ. კადრები გერონტოლოგიისა და გერიატრიის პრობლემების გადასაწყვეტად. ამასვე ემსახურება სოც., ექსპერ. და კლინიკური გერონტოლოგიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი საზ-ბის სხდომები, სამეცნ. ფორუმები. ამავე მიზნით საზ-ბა აქვეყნებს სამეცნ. შრომებს ჟურნალებში, კონფერენციებისა და სიმპზოიუმების თემატურ კრებულებში და სხვ. 1965, 1968, 1977, 1980 და 1984 ჩატარდა გერონტოლოგთა და გერიატრთა ამიერკავკ. კონფერენციები, 1984 – მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტთა თათბირი – „ხანშესულთა რისკ-ფაქტორების პროფილაქტიკა“, 1988 – სსრკ-იტალიის სიმპოზიუმი გერონტოლოგიაში (ქობულეთი) და სხვ.

ნ. ყიფშიძე